ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 247

9 ივნისი
"---" -------- 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.22.007.052.01.506) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკრგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ." ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი დ მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 გვისტოს №21-85 დდგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი დ მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა №7ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.22.007.052.01.506) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 24 მაისის №23.737.819 განკარგულებით გათვლისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა №7ა-ში, მესამე სართულზე არსებული 46.52 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.22.007.052.01.506) პირდპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე მაია ბალიაშვილისთვის (პ/ნ. 43001037856) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამრთი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დდგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე